№ 218

ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 218

ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**კნეინა მატრონა ბექანის ასული წერეთლისა** და შვილნი ამისნი **როსტომ, სერგეი, ამირიდონ** და **ფრიდონ გრიგოლის ძე-ნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა თვისისა, ხოლო უკანასკნელნი მამისა თვისისა, **თავადის გრიგოლ როსტომის ძის წერეთლისას** და სთხოვენ მობრძანდნენ ს. საჩხერეში, 14 ამ თვეს, შაბათს, მიცვალებულის გამოსვენებაზედ დასასწრებლად. განსვენებული საჩხერიდგან ჯრუჭის მონასტერში იქნება წასვენებული დილის 9 საათზედ საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალავად. (2—1929—2).

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (166—1891—8)

### თავ. რ. ერისთვის იუბილეს დღესასწაულობის წეს-რიგი.

ორშაბათს, 9 ოქტომბერს, მოხდა კრება ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, დრამატიულ საზოგადოებისა ⁊ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წარმომადგენლებისა თავ. რაფ. ერისთვის იუბილეს მოსამზადებლად. კრებამ საბოლაოდ გარდასწყვიტა შემდეგი:

იუბილე უთუოდ კვირას, 22 ოქტომბერს, უნდა იდღესასწაულოს ამ პროგრამით:

1) გარდახდილ იქნება ქაშვეთის ეკლესიაში პარაკლისი $11^1/_2$ საათზედ.

2) პარაკლისის შემდეგ ყველა დეპუტაციები და საზოგადოება შეგროვდება ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში. დეპუტაციები იჭერენ ადგილს სცენაზედ და რიგ-რიგად მიულოცვენ იუბილარს. მათ მილოცვის შემდეგ წაკითხულ იქნება დეპეშები, ლექსები და სხვა...

3) საღამოს 8 საათზედ გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა ქართულ თეატრში.

4) იუბილარის სახსოვრად განზრახულია ფონდი დაარსდეს; ამისთვის შემომწირველთა სია იუბილეს დღეს დაურიგდება მსურველთ; იუბილემდე და შემდეგ შემოწირულებას მიიღებენ ქართული ჟურნალ-გაზეთები და გამოაცხადებენ შემომწირველთა სიას; ფულს-კი გარდასცემენ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელსაც მიენდობა ეს ფონდი რომელსამე საზოგადო საქმეს მოახმაროს იუბილარის სახელობაზედ.

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, დილის მატარებლით, ქუთაისს მიდის პოეტი ვ. ლ. ველიჩკო.

*** როგორც შევიტყეთ, ყოვლად-უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი ამ მოკლე ხანში წავა ეკკლესიების სარევიზიოდ ქართლისაკენ.

*** როგორც გაზ. «ტიფლისკ. ლისტ.»-ს შეუტყვია, ტფილისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი დეისტვ. სტ. სოვეტ. მალინინი სამხედრო-სამკურნალო ინსპექტორად დაუნიშნავთ.

*** იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ კავკავის რეალურ სასწავლებლის მოწაფენი, რადგანაც სასწავლებელში ყელჭირვება გავრცელებულა, 15 ოქტომბრამდის დაუთხოვიათ.

*** სამურზაყანოს და აფხაზეთის საზოგადოებამ გაგზავნა სადაც ჯერ არს თხოვნა, რათა მათს სასოფლო სასწავლებლებში დედა-ენის სწავლება შემოიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულ იქნებიან სასწავლებლები გააუქმონ.

ჩვენშიაც არიან იმისთანა პირები, რომელთაც კარგად შეუგნიათ, რომ "მაღლა აცოცებისთვის კუდის ქნევაა საჭირო" და კიდეც ასე იქცევიან. ესენი უქადაგებენ ხალხს, საჭირო არ არის თქვენმა შვილებმა ქართული ენა იცოდნენო.

*** ს. ნიგოთი, (გურია): აქ ჩამოვიდა სამი უცხოელი მოგზაური. ორი მათგანი ფეხით მოგზაურობს, ერთი ველოსიპედით.

### ჩაქვისა და კინტრიშ ქობულეთის გათათრება.

(ნაამბობი ს. აჭყვასთაველის უსეინ ქამჯარაძისაგან).

მე პატარა ვიყავი, ასე 9—10 წლისა ვიქნებოდი, როცა ოსმალები ბათუმის აქეთ წამოვიდნენ და ციხის ძირს მოადგნენ, რადგანაც მაშინდელი გურიისა და ოსმალოს სინორი ციხის ძირთან იყო. გურულებსა და ოსმალთ დიდი ჩხუბი მოუხდათ. გურიელები მაშინ ჩვენში სცხოვრობდნენ და ხალხს აქეზებდნენ ომისათვის. ყველაზედ კარგად ჩვენები ომობდნენ. ციხის ძირთან დიდი ძალი ხალხი გაუწყვიტეს ოსმალთ, მაგრამ ბოლოს მაინც გაჭირდა საქმე, ოსმალთა გვძლიეს და ციხის ძირს გადმოვიდნენ; ესენი აქეთ ფეხს ვერ გადმოდგამდნენ, მაგრამ ჩვენში გაჩნდნენ ჯაშუშ-გამცემი კაცები, ესენი იყვნენ სოფ. ზენდიდელი გუგუნავები, დუმბაძეები და ძველი ქობულეთელი ჰყონიები. ამათ გვიღალატეს ჩვენ და ოსმალთ მიემხრნენ. ამათის ხრიკებით გადმოვიდნენ ოსმალნი სინორს და მთლად ჩაქვი დაიჭირეს. მაშინ ჩვენს მხარეს სახელად კახაბერი ერქვა. კახაბერი ჩოლოქიდგან იწყებოდა, აჭარისა და ლაზისტანის სინორზედ თავდებოდა. ასე ამ მხარეს ძველად კახაბერი ერქვა და არა ჩაქვი. ბათუმი, ქობულეთი, კინტრიში და სხვანი, ეს ბოლოს შემოვიდა ხმარებაში. ჩაქვის აღების შემდეგ ოსმალნი კინტრიშისკენაც მალე გადმოვიდნენ და მთელი ეს ადგილები დაიჭირეს. ორი კვირის განმავლობაში ამათ მთლად დაიმორჩილეს აქაურობა და მერე აქედგან ხინოსკენ წავიდნენ. ხინოში მაშინ ეკკლესია იყო და იქ დიდი ქეშიში (ეპისკოპოსი) იჯდა.. იმ ქეშიშს სხვა ქეშიშები ჰყვანდა და ესენი სოფლებში დადიოდნენ; აქედგან ჩუმად აჭარის სოფლებში გადადიოდნენ და იქ გათათრებულს ხალხს რაღაცაებს უშვრებოდნენ. ოსმალებმა ეს დიდი ქეშიში თავისს სხვა ქეშიშებით აღარ დააყენეს იქ, მალე გამორეკეს იქიდგან და უთხრეს, რომ აქ ერთი ქეშიშიც კმარაო. პატარა მღვდლები სულ წამოვიდნენ და იქ დარჩა დიდი ქეშიში მარტო. ჩვენები დადიოდნენ იქ სალოცავად და ცხვარი და ქათმები მიჰყვანდათ ხოლმე ქეშიშისათვის; ჩვენს გარდა სხვებიც დადიოდნენ სალოცავად იქ, ხან-დახან ცეკვა-თამაში და თოფის სროლაც იცოდნენ.

ოსმალების აქ დაბინავების შემ-

## ფელეტონი

### მთვარეს

იარე დაუღალავად—
თავი ნუ ჩაგიკიდია,
გაჰფანტე ნისლი ღრუბლების,
უფლის განგება დიდია.
ნაზად შესცინე ქვეყანას
შენ ფეხ-ქვეშ გადაჭიმულსა;
მყინვარს დამღერე ნანინა,
ზეციდამ გადმოკიდულსა.
კარგად იცოდე, რომ ერთხელ
ძირს დაცემული, ჩაგრული
კვლავ-აღემართვის მთას წმიდას,
იმედით აღტაცებული.
მაშ, ტურფავ, წინანდებურად
ღრუბლებში გაიკაშკაშე,
ლურჯ კამარაზედ საამოდ
სხივები შეათამაშე.
მეც გადავიხსნი საკიდეს
და მკერდს მოგიშვერ მთვარესა,
ხელ-განპყრობილი თაყვანს-გცემ
ქვეყნად შუქ-მომფინარესა!

სოსელო.

### უკანასკნელი გაკვეთილი.

(პატარა ელზასელის ნაამბობი).

ალფონს დოდესი.

ერთხელ დილით მე სასწავლებელში დამიგვიანდა, ძალიანაც მეშინოდა საყვედური არ მიმეღო, რადგან ბ-ნ გამელმა გაგვაფრთხილა, როგკითხავდა ზმნებსა, მე-კი არა ვიცოდი-რა. ერთი წუთით გარდავწყვიტე არ წავსულიყავ სასწავლებელში და მენავარდნა მინდვრებში... დარიც საუცხოვო აყო თბილოდა კიდეც... ტყიდგან მოისმოდა საამო ჭიკჭიკი შაშვებისა და რიპპერის ველზედ ვარჯიშობდნენ პრუსიის ჯარისკაცები. ყველა ეს მე უფრო მიზიდავდა, ვიდრე ზმნები, მაგრამ ჩემს თავს ძალა დავატანე და გავიქეცი სკოლისაკენ. როცა მივედი სასოფლო საბჭოს სახლთან, დავინახე მრავალი ხალხი, რომელიც კითხულობდა ყავახანის კედლებზედ გაკრულს განცხადებებს. ორი წელიწადი იყო, რაც ამ განცხადებებს მოჰქონდათ მეტად უსიამოვნო ამბები: წაგებული ომი, დაღუპული ჯარი, კვლავ გაჭირვება... მე იმათთან არ გავჩერებულვარ და გზა-გზა გავიფიქრე: „რაღა იქნება შემდეგ?“. როცა გავირბინე მოედანი, მჭედელ-ვახტერმა, რომელიც თავისის შეგირდით კითხულობდა განცხადებებს, თითქმის ყურის ძირას მომაძახა:

— ნუ ეშურები აგრე, ბარტყო, მოესწრები დროზედ სასწავლებელში მისვლას! მეგონა რომ ის მე დამცინოდა და უფრო გაჩქარებული ქოშინით შევვარდი ბ-ნ გომელის ეზოში. ჩვეულებრივ, გაკვეთილების წინ საშინელი ღრიანცელი იდგა სასწავლებელში. ტაბლების უჯრების რახა-რუხი და გაკვეთილების მზადების ხმა შორს ქუჩაშიაც-კი გაისმოდა. დრო-გამოშვებით მასწავლებლის ყვირილი და სახაზავის სტოლზედ რახუნი თუ შესწყვეტავდა ამ ყაყანს. მინდოდა შეუმჩნევლად მივსრიალებულიყავ ჩემს ადგილას, მაგრამ დღეს ყველგან სიჩუმე იყო, თითქოს კვირა დღეაო. გაღებულის სარკმლიდგან ვხედავდი ჩემს დარბაისლურად მსხდომარე ამხანაგებს და ბ. გამელს თავისს განუყრელის რკინის სახაზავით ხელში, ოთახის გარდიგარდმო მოსიარულეს; მეტი ღონე არ იყო, უნდა გამეღო კარები და შევსულიყავ კლასში. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიყავი შეშინებულ-გაწითლებული, მაგრამ ბ. გამელი (ოჰ, ღმერთო!) მიყურებდა დინჯად და მშვიდობიანად მითხრა:

— მიეშურე შენს ადგილს, ძვირფასო ფრანცო, ჩვენ უშენოდ ვფიქრობდით დაწყებას. მე გადავაბიჯე ფეხი სკამსა და დავჯექი ჩემს ალაგს თავ-ჩაღუნული. როცა შიშისაგან გამოვერკვიე, შევნიშნე, რომ ჩვენი მასწავლებელი მწვანე სერთუკით, წმინდა აბრეშუმის ყელ-სახვევით და ნაკერ ხავერდის ქუდით იყო გამოწყობილი. ამ სახით მას რევიზიის დროს ან ჯილდოების დარიგების დღეს თუ ნახავდით. საზოგადოდ, მთელი კლასი რაღაც უჩვეულო მედიდურად გამოიყურებოდა. მაგრამ ისე არაფერს გაუკვირვებივარ, როგორც კლასშივე წინად ცალიერს სკამებზედ ჩუმად მსხდომარე სოფლელებმა გამაკვირვეს. ბებერი გაუსერი თავისის მაღალის შლიაპით, ყოფილი მერი მექარხნედ ნამყოფი და ზოგიც სხვები, თითქო რაღაცას დაულონებიაო, ისე გამოიყურებოდნენ. გაუსერს მასთან მოეტანა ძველი გვერდებ შემოგლეჯილი ანბანი, დაედო მუხლებზედ და სათვალებიანის თვალებით დაჰყურებდა იმისს სტრიქონებს. ვიდრე მე ასეთს ფიქრებში და დაკვირვებაში ვიყავ, ბ. გამელი ავიდა კათედრაზედ და იმავ მშვიდის და მნიშვნელობიანის კილოთი, რომლითიც მე დამიხვდა გვითხრა:

— ჩემო შვილებო, მე უკანასკნელად გასწავლით თქვენ. ბერლინიდგან მოვიდა განკარგულება რომ ელზას—ლოტარინგიის სკოლებში სწავლა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ნემეცურს ენაზედ... ხვალ მოვა ახალი მასწავლებელი; დღეს მაშასადამე, უკანასკნელია გაკვეთილია ჩვენის ფრანგულის ენისა. ამიტომ გთხოვთ ყურადღებით იყოთ. ამ რამდენიმე სიტყვამ ელვასავით დამირბინა... ჩემი უკანასკნელი გაკვეთილია ფრანგული ენისა! რაღა მომელოდა მე რომელიც წერას ძლივს ვახერხებდი! მაშასადამე მე თავის დღეში ვეღარ უნდა მესწავლა! მაგრამ ჯერჯერობით უნდა შევრიგებოდი ამას. როგორ მენანებოდა დაკარგული დრო; დღენი, თვენი, რომელთაც ვანდომებდი ბუდეების ძებნას, ციგით ცურაობას, ბურთაობას, ჩემი წიგნები, ერთი წუთის წინად ასე თავის მაბეზრებელნი, რომელნიც ასე მამძიმებდნენ სიარულში: ჩემი გრამატიკა, ჩემი საღმრთო-სჯულის წიგნი ძველ განუყრელ მეგობრად მეჩვენებოდნენ, რომელთაც ვერას გზით ვერ გავშორდებოდი. ასეთსავე ახალს გარემოებაში მეჩვენა მე ბ. გამელი. აზრი, რომ ის უნდა წასულიყო, რომ ველარ ვნახავდი მას, მავიწყებდა მისგან მიღებულს სასჯელს და ჯოხს... საბრალო კაცი!..რათა მიეცა მედიდური ხასიათი თავის უკანასკნელის გაკვეთილისთვის, ის გამოწყობილიყო სადღესასწაულო ტანთ-საცმელში. ეხლა მეყურებოდა რისთვისაც ისხდნენ ზალის ბოლოში სოფლელი ბერი-კაცები, თითქოს იმათაც ენანებოდათ, რომ არ დადიოდნენ

დეგ ჩვენებურები აქ არ დგებოდნენ და ნახევარი ჩაქვა და ქობულეთი გურიაში გადასახლდა, სახლ-კარს ოხრათ სტოვებდნენ აქ და მიდიოდნენ გურიელებისაკენ, რადგანაც აქ გათათრებისა ეშინოდათ. მგრამ პირველად ოსმალები არ გვათათრებდნენ, მაგრამ ჩვენებს მაინც ეშინოდათ, რადგანაც ამ დროს აჭარა უკვე გათათრებული იყო. ბევრნი დარჩნენ აქა და ბევრნი გაიქცნენ გურიისაკენ; გაქცეულები იქ ძალიან დალარიბდნენ, ჩემი დედის-დედაც გაიქცა და მეც თან წამიყვანა. ჩვენ წაგვიყვანეს ქუთაისისაკენ ერთ სოფელში, სადაც ჩვენი ნათესავები სცხოვრობდნენ, ჩვენი მეგვარეები. იქ კარგა ხანს დავრჩით. მე კარგად მახსოვს, რომ აქ ორჯელ მაზიარა ეკკლესიაში ჩემმა ნენემ და ღორის ხორციც მიჭამია ბარე სამჯერ (ე. ი. ბევრჯელ). იმერეთში ღორს ძალიანა სჭამენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ ოსმალები ხალხს არ ათათრებენო; ამბობენ, რომ ჩვენ ძალით არავის გავათათრებთო და ამიტომ ყველანი ჩვენის სახლ-კარისაკენ და სოფლებში დავბრუნდეთო. თუ გათათრებას დაგვიწყებენ, მერე კიდევ გამოვიქცეთო. ძლიერ ბევრნი დასთანხმდნენ ამაზედ და დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სოფლებისაკენ. ყველა დაბინავდა თავისს სახლებში, ეკკლესიებში ხუცები ლოცულობდნენ, ხინოს ხუცესსაც ნება მისცეს სხვა ქეშიშების მიყვანისა. ჩვენც ჩვენს სოფელს აჭყვაში დავდექით. ოსმალებს ჩვენ მცირე ხარჯს ვაძლევდით, არ გვაწუხებდნენ, არც სჯულზე გველაპარაკებოდნენ რამეს. ბევრნი თავადები და აზნაურები-კი არ დარჩნენ ჩვენსკენ და გურიაში გადავიდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალმა დიდი ძალი ჯარი მოიყვანა და ჩვენი და გურიის საზღვრები შეკრა. ზოგი ჯარი სამზღვარზე დააყენა და ზოგი აქა-იქ სოფლებში: ჩვენ გვეგონა, რომ ჯარი საზღვრების გასამაგრებლად მოიყვანესო, მაგრამ ისე არ აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ მთელი კინტრიშ-ქობულეთის მამაკაცები ერთ ალაგას დაიბარეს და გათათრება გამოუცხადეს. ხალხმა შესძახა:

— არ შეგვიძლიან, ჩვენ არ გავთათრდებით, დავიხოცებით და მაგასკი არ ვიზამთ.

ოსმალთ არ ქმნეს, არ შეისმინეს თხოვნა. ამ ჩხუბის დროს გუგუნავა, დუმბაძე და ჭყონია თათრებად აღმოჩნდნენ; ესენი წინათვე გათათრებულიყვნენ ოსმალთ შესყიდვით. ამათ იყვირეს:

— ბიჭებო, აი ჩვენ გავთათრდით და რა დაგვაკლდა, არაფერი. გირჩევთ გათათრდეთ თქვენცა, თორემ ბევრნი დაიხოცებით. ხონთქარი ძლიერია. ხალხმა მაინც არ ქნა. ოსმალთ მოთავე კაცები დაიჭირეს და ამათ სთხოვდნენ, რომ ხალხს გათათრება ურჩიეთო. ამათ არ ქმნეს და იმ დროის გათათრებული თავდგირიძეები დიდად ლანძღეს, ამაზედ ჩხუბი ასტყდა და ეს კაცები ერთი კვირის შემდეგ ჭახათის ზემოთ ტყეში დაარჩეს და ეს დამრჩვლები რამდენიმე დღეს თოკით ეკიდნენ ხეებზე. დიდი შლილობა მოხდა, დიდი სისხლის ღვრა; ოსმალნი ქრისტიანებს აქ არ აყენებდნენ და არც სხვაგან უშვებდნენ, ჩვენები კიდევ არ თათრდებოდნენ და ამიტომ დღე და ღამე ხალხის ხოცვა იყო: დედაკაცებისა და ბავშვების ტირილი და დიდი უბედურება.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

---

### ბ. ისარიძის წერილის გამო.

„კვალის“ მე-43 ნომერში ერთი ფრიად საყურადღებო წერილია დასტამბული ქუთაისიდგან, სახელდობრ „ჩვენი მეურნეობის მფარველთა საყურადღებოდ“. წერილი ეკუთვნის ბ-ნ ისარიძეს. ისარიძის ისარი კარგა მარჯვედ არის ნატყორცნი, მაგრამ ის თავისს მიზანს მაინც აშორებია და მაგონებს ანდაზას: „ცხენს ვერ შესწვდნენ და უნაგირს ამტვრევდნენო“. ავტორი თავისს წერილში ეხება ქუთაისის სამეურნეო სკოლას და ამბობს: მართალია სკოლა აგერ მესამე წელიწადია რაც დაარსდა, მაგრამ მას მაინც თავისი გრძელი ისტორია აქვსო! დიაღ მართალია, ამ სკოლას გრძელი ისტორია აქვს და თუ გნებავთ ძლიერ გრძელიც. 1896 წელს ამ სკოლიდგან უნდა გამოსულიყვნენ ახალგაზდა სოფლის მეურნენი და მანანასავით უნდა მოვლინებოდა ეკონომიურად უკან ჩამორჩენილს ჩვენს ქვეყანას. ამ იმედით არ დაიშურეს მოწაფეთა მშობლებმა ნივთიერი მსხვერპლი—თავისი არ ჰქონდათ, ისესხეს 30—40%-ათ, (ამისი მაგალითი 4—5 ჩემს ნაცნობ მოწაფეებშიაც ვიცი) თვით მოიკლეს, სხვა შვილები უსკოლოდ დასტოვეს და ასეთის გაჭირვებით 12 თუმანი სკოლაში შეიტანეს და შვილი მიაბარეს. იმ იმედით რომ სამი წელიწადი ადრე გაივლის და მისი შვილი ახალი სწავლა-მეცნიერებით აღჭურვილი, შეეჭიდება მედგრად ჩვენს გაჭირვებას, ვალსაც გადაიხდის და ოჯახსაც ნაღდს შესძენსო.

მაგრამ ვაი უბედურებას, იმედი კიდევ იმედათ რჩება და ვისაც იობის მოთმინება არა აქვს, მას სასოწარკვეთილებათაც გარდაექცა. სკოლას სათავეში ისეთი პირები დაურჩა, რომ ნაცვლად საზოგადოების გულის მოგებისა, ეცადნენ იმათი გული მოეგოთ, ვისგანაც ელოდნენ მხარ-გულ-ყელის დამშვენებას. ამ ვითომ-და ჩვენმა გულ-შემატკივრებმა და უფრო დედინაცვლებმა, თავიანთის უფროსების გულის მოსაგებად ჩვენს კაცს, ჩვენის მიწა-წყლისა და ჰავის მცოდნეს უარი უთხრეს, თქვენ სკოლას ვერ განდობთო. ხვეწნა-მუდარით მიჰმართეს ჩრდილოეთს: ღმერთი იწამეთ, გვიშველეთ, კაცი „მოგვეწვა“, თქვენ მაინც შეგვიბრალეთ და გამოგვიგზავნეთ სკოლის მმართველიო. იმათაც შეიწყნარეს თხოვნა მათი და „გულის ხმა ჰყვეს ღაღადებანი მათნი“ და გამოგზავნეს ერთი „უხმარ ბამბაში“ გახვეული ადამიანი, რომელიც ისე იყო მიკნავებული უკურნებელის სენით, რომ ცივს ნიავს ვერ ეკარებოდა და იჯდა სულ თბილს ოთახში. ერთხელ, როგორც იქმნა, გაბედა ტფილისში წასვლა 12 დღით съ научною цѣлью. ეს 12 დღის „ნაუჩნაია ცელ“ სკოლას 15 თუმნამდე დაუჯდა (ან-კი რატომ არ დაჯდებოდა, როცა ამ ვაჟბატონის ანგარიშით, როგორც სკოლის დავთრებიდგან სჩანს, (счетъ) дано мушѣ 3 рублія). ტფილისიდგან რომ ჩამოვიდა ეს მოწყალე ადამიანი, ის უკვე გადიყვანეს იალტაში „კამანდიროვკაში“, ეხლა იქაური ჰაერი გიჯობსო. მის წასვლას მოჰყვა იმ ოთახების დეზინფექცია, რომლებიც მას ეჭირა. რა ნაყოფი მოიტანა ამ უკვდავების წყაროსებრ გამოწერილმა მმართველმა. ბევრი! ფასდაუდებელი!!. იყო სულ სამი თუ ოთხი თვე, იღებდა ჯამაგირს თვეში 100 მ. ეგ 400 მან. ამას მიუმატეთ აქეთ მოსვლის „პრაგონი“ 100 მან. ტფილისში დანახარჯი 150 მანეთამდე, სკოლის დეზინფექცია და სკოლისათვის გამოუსადეგარი ნივთები 60 მანეთამდე. ყველა ამის სამაგიეროდ დასტოვა რამდენიმე დავთარი, ხელ-ახლად გადასაწერი. ჰო დამავიწყდა მე ცოდვილს: მანვე გამოიწერა პეტერბურგიდგან ცხენის კბილა (конскій зубъ) სიმინდის თესლი. (ეს ხომ ჩვენში არ არის?). შემდეგ სკოლა ჩაბარდა ისევ ბ-ნ მორბედაძეს, რომლის უფლება შეზღუდული რომ არ ჰქონოდა სკოლის მზრუნველს, მას შეეძლო კიდევ მეტი ნაყოფი მოეტანა. ამ დროსვე დაანება თავი სკოლას აგრონომ-ოფიცერმა როლლოვმა. ალბად იმიტომ რომ მმართველის და მისი ცოლის წასვლის შემდეგ „სკუჩნაობა“ დაეტყო. ეხლა კიდევ შეიქნა ხვეწნა-მუდარა გამოგვიგზავნეთ მასწავლებელი, სამკალი ფრიად აქვთ აქაურ მკვიდრთ, ხოლო მომკალი არცა ერთიო. ბევრმა ითხოვა ეს ადგილი ჩვენებმა, მაგრამ არავის მისცეს. იყო სკოლა ბ-ნ მორბედაძისა და განსვენებულის მღვ. კობახიძისა. მაგრამ, ფიქრი ნუ გაქვთ, აქვე იყო მებაღე ჩივ-ძე, რომელიც უმოწყალოდ ამუშავებდა მოწაფეებს პლანტაჟს.

რამდენიმე თვის შემდეგ (მგონი ორის) დანიშნეს მასწავლებლად დერგაჩოვი, მაგრამ რადგან „პრაგონი“ წინად არ გაუგზავნეს, აღარც ის მოვიდა. რაკი მეტი მოცილე აღარ იყო და არც ასე დარჩენა ვარგოდა, ისევ გამოიტირეს და ის ადგილი მისცეს ცოდნით და ენერგიით სავსეს ახალგაზდას ბ. შარაშიძეს, რომელსაც ისარიძეც ემადრიელება, საქმეს პირნათლად ასრულებსო. ჩვენც გვჯერა, რომ პირნათლად შეასრულებს, მაგრამ ეგეც ვიცით, არავინ დაანებებს პირ-ნათლობას.

ასე ამ რიგად თებერვლიდგან მაისამდე სკოლას განაგებდა ხან „ისპრავლიაუშჩი“ და ხან-კი ამ სიტყვას „Ва“-ც გაუჩნდებოდა ხოლმე თავში. მაისში გვესტუმრა კიდევ რუსეთიდგან გამოწერილი კაცი; კარგი მცოდნე მეღვინეობისა. კიდეც ეგ იყო მიზეზი, რომ მაშინვე სკოლის „ვივესკის“ გამოცვლა მოინდომა. მისი სურვილი იყო, რომ სკოლაში გამეფებულიყო მისი სპეციალური საგანი—მეღვინეობა. ივლისში ამ მეღვინე აგრონომმა დიდი პედაგოგიური ნიჭი გამოიჩინა. გამოუცხადა მოწაფეებს, რომ თქვენი საზაფხულოდ „პლანტაჟის“ მოშორება არ იქნებაო, მხოლოდ ვინც წარმოადგენს შინიდგან წერილს, რომ მისი მშობელთაგანი ავად არის, იმას გაუშვებთო. გაჩნდა იმ დღესვე ყალბის თხოვნების წერა, ერთ დღეს 8 კაცზე მეტს უკვდებოდა ზოგს დედა და ზოგს მამა, მეორე დღეს ავადმყოფობა უფრო მოედო მოწაფეთა მშობლებს და ამ რიგად მესამე დღეს 36 შეგირდიდგან მარტო 3-ს არ ყო-

---

ამ სასწავლებელში; ეს ჯილდოსავით-იყო მასწავლებლისთვის, მას ორმოცი წელიწადი ემსახურნა ამ ქვეყნის სასარგებლოდ, რომელსაც სტოვებდა. ასეთს ფიქრებში ვიყავ გართული, როცა შემომესმა რომ ვიღაცა მეძახოდა სახელს. ჩემზედაც მომდგარიყო ჯერი, გაკვეთილი უნდა მეპასუხნა. რას არ მივცემდი მაშინ რომ ეს ზმნათა ტაბლიცა მიმეგო გარკვევით და შეუცდომელად! მაგრამ პირველსავე კითხვაზედ გადავირიე, შემრცხვა, გავჩერდი; ვკანკალებდი მთელის არსებით და არ შემეძლო თავი მაღლა ამეღო. უცებ შემომესმა ბ. გამელის ხმა, რომელმაც მომმართა შემდეგის სიტყვებით.

— შენ მე არ გაგლანძღავ, ჩემო ფრანცო... ისეც საკმარისად დაისაჯე. ყველაფერი ამ ქვეყნად ასე ხდება. ყოველ დღე ვეუბნებით ჩვენს თავს: ეჰ, თავისუფალი დრო კიდევ ბევრი მაქვს, ხვალ ვისწავლი, შემდეგ-კი ვხედავთ რაც ხდება. ოჰ, ეს მუდმივი სახვალიოდ საქმის გადადება დიდი უბედურობა იყო ჩვენის ელზასისათვის. ეხლა ამ ხალხს ნება აქვთ გვითხრან ჩვენ: როგორ გვარწმუნებდით, რომ თქვენ ფრანგები იყავით, როცა წერა-კითხვაც-კი არ იცოდით თქვენს სამშობლო ენაზედ. ყოველ ამაებში მარტო შენი ბრალი არ არის, ჩემო საბრალო ფრანცო! ყველა ჩვენგანი მოვალეა თავის თავსაც მიაწეროს ნაწილი მაგ საყვედურისა. თქვენი მშობლები არა ცდილობდნენ თქვენის სწავლისთვის. ისინი თქვენს მუშაობას რჩეობდნენ ხოლმე ქარხანაში ან მინდორში, რათა ერთი ორი გროშით მეტი შემოსავალი ჰქონოდათ. განა მე-კი არ შემიძლია ვუსაყვედურო ჩემს თავს ზოგ ამისთანებში? განა მევე არ გაძლევდით ნებას, მოგერწყოთ ყვავილები ჩემს ბაღში, იმის მაგივრად, რომ მესწავლებინა თქვენთვის. ან როცა მომივიდოდა სურვილი კალმახზედ ნადირობისა, განა შემრცხვებოდა თქვენი დანიშნულ დროზედ ადრე დათხოვნისა!.. აქ ბ. გამელმა დაგვიწყო ლაპარაკი ფრანგულს ენაზედ. გვარწმუნებდა, რომ ეს უმშვენიერესი ენათაგანია მთელს დედა-მიწის ზურგზედ: ფაქიზი, ძალუმი, რომელიც უნდა გვეტარებინა გულში, რათა არ დაგვვიწყებოდა, რადგან ხალხი, ვიდრე ცოცხალი იქნება, სამშობლო ენა არ აღიგვება დედამიწის პირიდგან. შემდეგ იმან აიღო გრამატიკა და გარკვევით წაგვიკითხა ჩვენი გაკვეთილი. მე გაკვირვებული ვიყავ, რადგან ყოველი ნათქვამი ადვილი გასაგები ხდებოდა. ის რასაც-კი იტყოდა, სულ მეადვილებოდა და დარწმუნებულიც ვიყავ, რომ მე ჩემს დღეში ასე ყურადღებით არ მომისმენია გაკვეთილი. ამ კაცს თითქოს გამოთხოვების წინ უნდოდა მთელი თავისი ცოდნა შთაენერგნა ჩვენს ტვინში. გაკვეთილის ახსნა გათავდა და ჩვენ შევუდექით წერას. ამ დღისთვის ბ. გამელს მოემზადებინა ჩვენთვის საგანგებო ნიმუშები, რომლებიც შესდგებოდნენ ორის მშვენიერად დაწერილის სიტყვებისაგან: „საფრანგეთი, ელზასი, საფრანგეთი, ელზასი“. უნდა გენახათ, ყველა ჩვენგანი როგორ ცდილობდა შნოიანად დაეწერა და ყველა ეს რა სიჩუმით და ყურადღებით სრულდებოდა! მხოლოდ ქაღალდზედ კალმების წრიპინი-ღა გაისმოდა და ხან ფანჯრიდგან ფუტკრები თუ შემოფრინდებოდნენ, მაგრამ ამათ ყურადღებას არავინ აქცევდა, ის პატარებიც-კი, რომლებსაც მხოლოდ რგოლები გამოჰყავდათ და კალამს ძლივს იკავებდნენ, სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათგან ნაწერი ნამდვილი ფრანგული ენიდგან მოყვანილი სიტყვები იყო. სასწავლებლის სხვენში მშვიდად ღუღუნებდნენ მტრედები და მე ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნუ-თუ ამათაც დააწყებინებენ ნემეცურად ლაპარაკს? დრო და დრო, როცა-კი თავს მაღლა ავიღებდი ვხედავდი ბ. გამელს, უძრავად მჯდომარეს თავისს კათედრაზედ, რომელიც რაღაც განსხვავებულის ყურადღებით ათვალიერებდა მთელის კლასის კუთვნილებას, თითქოს საუკუნოდ უნდა შთაიბეჭდოს თავისს მეხსიერებაში სასწავლებლის მთელი შენობა; წარმოიდგინეთ, მთელი ორმოცი წელიწადი ის სულ იმ ერთს ადგილას იჯდა და უყურებდა კლასს თავისს ეზო ყურეთი სწორედ ისე, როგორათაც დღესა ჰხედავს. მხოლოდ სკამები და სტოლები თუ შეიცვალნენ. ეზოში კაკლის ხე გაიზარდა, გამსხვილდა და ფანჯრების წინ დარგული სხვენამდე ავიდა. რა მძიმე სასჯელი უნდა ყოფილიყო უბედურის კაცისათვის ყველა ამაების დათმობა და გამოთხოვება, როგორ ლოდსავით აწვებოდა გულზედ მეორე ოთახში ხმაურობა, სადაც მისი და ჰკეტავდა სკივრებს. ხვალ ხომ ისინი სრულიად უნდა გამოსთხოვებოდნენ ჩვენს მხარეს!.. მიუხედავად ყველა ამაებისა, მან შესძლო გაკვეთილის დაბოლოვება. წერის შემდეგ ისტორიის გაკვეთილი დაიწყო, შემდეგ სულ პატარები გალობდნენ: ba, be, bi, bo, bu...

კლასის კუთხეში მოხუცს გაუსერს გაეკეთებინა სათვალეები და ბალღებთან ერთად ან-ბანში კითხულობდა გაკვეთილს, ეტყობოდა რომ ისიც სწავლობდა. იმას ხმა უკანკალებდა ღელვისაგან და ეს ისე სასაცილოდ გამოდიოდა, რომ ჩვენ ერთსა და იმავე დროს თან გვეცინებოდა, თან გვეტირებოდა. მე თავისს დღეში არ დამავიწყდება ეს უკანასკნელი გაკვეთილი!.. უცებ ეკკლესის საათმა თორმეტი დარეკა. იმავ წუთას ჩვენ ფანჯრებთან გაისმა ბუკის ხმა პრუსიელებისა, რომლებიც ბრუნდებოდნენ ვარჯიშობიდგან. ბ. გამელი მთლად გადაფითრებული წამოდგა კათედრიდგან. ის თავისს დღეში ასეთი მაღალი არ გვჩვენებია; მეგობრებო, დაიძახა მან, ჩემო მეგობრებო! მე... მე... მაგრამ იმას რაღაც მოებჯინა ყელში და არჩობდა. მას არ შეეძლო არც ერთის სიტყვის გამოთქმა. მაშინ ის მიბრუნდა კლასის ფიცრისკენ, აიღო ხელში ცარცი და ძალღონე მოკრებილმა დასწერა უშველებელის ასოებით: გაუმარჯოს საფრანგეთს! შემდეგ ის თავ-ჩაღუნული მიეყუდა კედელს და ხელით უსიტყვოდ გვანიშნა:—გათავდა... წადით!

ეჭ. მიქელაძე.

ს. შილდა. 1 აპრილი 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ავათ არა ვინ და ისენიც თხოულობდნენ დაგვასვენეთო. ბ-ნ ჩივაძესაც მოსწყინდა მათი თავმდგურობა და ისინიც გაუშვეს. როგორ მოგწონთ, ხომ კარგად აღგვიზდიდა შვილებს ბ. ლამკინი ასეთი პედაგოგიური მოსაზრებით? რასაკვირველია, მაგრამ რაი, რომ მაინც წლის თავზედ, ე. ი. წრეულს მაისში თავი დაგვიკრა და დაგვაობლა. ამის წასვლასაც მოჰყვა ერთი ფრიად სამართლიანი ზრუნვა და გამგეობა სკოლის მზრუნველისა. ბ. მზრუნველმა სკოლა დროებით ჩააბარა მებაღე ჩივაძეს „ვოლნო ნაიმს“ (ჩივაძის შესახებ ჩვენ არას ვიტყვით. შეგვეძლო მეტი გვეთქვა, მაგრამ ისიც კმარა, რაც ისარიძეს აქვს მაზედ.) რა უნდა ეფიქრათ მოწაფეებს, როცა მათი ახლად გამომცხვარი «უპრავლიაუშჩი» მათზედ გონების განვითარებით უკან თუ სდგას, თორემ წინ არა? (ჩივაძე ტფილისის საბაღოსნო სკოლიდგან არის). რა გული უნდა ჰქონოდათ სკოლის შტატის მასწავლებლებს, როცა უფროსად მათზედ სწავლა-ადგილ-უფლებით მცირე კაცი დაუნიშნეს? ნეტავი რომელი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ბ. მზრუნველი ხ—ევი, როცა ასე შეურაცხ-ჰყო მასწავლებლები, შელახა მათი პირადი ღირსება, თავ-მოყვარეობა და ამით გაათამამა თვით-მოყვარე მებაღე ჩივაძე. ასეთმა ინტრიგებმა დაანებებინა თავი ამ სკოლის სულის ჩამდგმელს ბ. მორბედაძეს, ცნობილს აგრონომს. „ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო.“ ისე ვინ დაუფასა ღვაწლი და შრომა! რომ მორბედაძე არ ყოფილიყო, უფრო ადრე დაანებებდნენ თავს მოწაფენი, რომლებიც მორბედაძის გამხნევებით და ამხანაგური—ადამიანური მოპყრობით იტანდნენ ყოველივე გასაჭირს.

ასეთი არეულობის მიზეზი იყო, რომ მოწაფენი ყველა გამოუცდელად დატოვეს იმავ კლასში. ნეტავი, ვიცოდეთ მოწაფეებისა რა ბრალი იყო, რომ მათ არა ასწავლეს-რა? რისთვის ჩააგდეს ვალში მოწაფეთა მშობელნი, რომლებმაც სხვა სასწავლებელს თავი დაანებებინეს და აქაც მოაცდინა სკოლის მმართველობამ და სხვაგანაც.

სამართლიანობაა სკოლის მმართველობის პირადი ინტერესების წყალობის მიზეზით რომ საცოდავ მშობლებს 12—15 თუმნამდე მეტი ხარჯი მოუვიდა და ერთის წლის შვილის მოცდენა შესძინეს? სამართლიანობაა, რომ მებაღე ჩივაძის წყალობით მოწაფეებს ვერ დაელაპარაკები და მათ მუშაობას ვერ უცქერი?

ოჰ! ქუთაისლებო, ქუთაისლებო, გეყოთ ამდენი სხვისი ცქერა, დედინაცვლის იმედი, გამოიღეთ ყურიდგან ბამბის ძველა ხელი და ტვინი გაანძრიეთ და თქვენს საქმეს თქვენ უპატრონეთ, თქვენვე...

ყურიათელი.

## სასჯულო საქმეთა მინისტრის სიტყვა.

გაზ. „ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდილია სიტყვა სასჯულო საქმეთა მინისტრისა, რომელიც მას რეველში წარმოუთქვამს სადილზედ; აი, ეს სიტყვა:

„უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირველად სრულიად არ მქონდა განზრახვა წარმომეთქვა სიტყვა, რომელშიაც უნებურად უნდა შევეხო ადგილობრივისა თუ საზოგადო მნიშვნელობის საგნებს. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ აქ მხოლოდ საქმისა გამო მოვედი. არასოდეს არ მავიწყდება აღმოსავლეთის გონივრული ანდაზა „სიტყვა ვერცხლია,—სიჩუმე—ოქრო“ და ამიტომ მე მსურდა დროსა და გარემოებისათვის მიმენდო ჩემდამი რწმუნებულის უწყების დღევანდელი დამოკიდებულება იმ უმთავრეს საგნებთან, რომლებიც ბალტის მხარის სამოქალაქო ცხოვრებას შეეხებიან. მაგრამ თქვენ, მის პატივცემულ წარმომადგენელთ, გსურდათ პატივი გეცათ ასეთის გულითადის მოგებებით; თქვენ იმდენი სიკეთე ისურვეთ ჩემთვის, რომ ჩემ მხრივ შეუძლებელია უტყვად დარჩენა, შეუძლებელია გულახდილად არ აღვიარო, რა აზრსა და გრძნობასა ჰბადებს ჩემს გულში დღევანდელი თქვენი მასპინძლობა.

„მე სრულიად შორს ვარ იმ აზრზედ, რომ ყველაფერი შემეძლოს და კარგადაც მესმის ჩემის საკუთარისა და საზოგადოდ კერძო პირის მოღვაწეობის ფასი; ამიტომ თქვენს აგეთს გულითადს აზრთა გაზიარებას პირადად მე-კი არ მივიწერ, არამედ მივაწერ ჩემს პასუხის საგებელს წოდებას, რომელიც მეფის ნებით მებოძა, მივაწერ იმ სახელმწიფო თანამდებობას, რომელიც სასამართლოს საქმეებს იმპერიაში დარაჯად უდგას. მიუხედავად ამისა, რომ პირადად მე სრულს თანაგრძნობასა ვგრძნობ თქვენდამი, ამაში ეჭვიც-კი არ უნდა გქონდეთ. როდესაც გულ-ცივად ეპყრობიან ადამიანს, საზოგადოდ შენიშნულია, რომ მუშაობა მაშინ გაძნელებულია, ხოლო გულ-წრფელი მოწონება და თანაგრძნობა ენერგიას უორკეცებს მომქმედს პირს. მაგრამ კერძოდ თქვენს თანაგრძნობას-კი ჩემთვის ორ-კეცი და სამ-კეცი მნიშვნელობა აქვს.

„ხშირად, ძალიან ხშირად წარმოგვიდგება ხოლმე თვალ-წინ ის აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ ჩვენის მამულის თვალ-უწვდენს ადგილებში როგორც უნდა ლოცულობდნენ, რაც უნდა ეწოდებოდეთ, საიდგანაც უნდა იყვნენ მოსულნი მისნი შვილნი, მაინც ყველაფერი, სახელმწიფო რამ იქნება იგი, თუ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა, უთუოდ უნდა იყოს და არის ხოლმე კიდეც: სამეფო, სარუსო, ერთის ბრძანების ქვეშე მყოფი, ერთის სულის მქონი, ერთისა და იმავე აზრის პატრონი ყველგან და ყველასათვის.

„აი, ამ ჭეშმარიტებაშია დაფარული ჩვენი ძლიერება, იქ არის ჩვენი სისუსტე, თუ იგი შეირყა, მის დაცვაშია ჩვენი სახელოვანი წარსული და ბრწყინვალე მომავალი! ნუ-თუ კიდევ საჭიროა, ვსთქვათ, რომ იგი ჭეშმარიტება არც შევიწროებას და არც სხვა რამ ამ გვარს უსამართლოებას არ ხმარობს თავისის აზრის მისაღწევად? პირ-იქით ჩვენს მამულში არავის არ ეძრახვის თავისუფლება სინიდისისა, სხვა-და-სხვა ეროვნულ ზნე-ჩვეულებებს და ადგილობრივ საჭიროებათ მუდამ ეძლევათ ადგილი. ჯერ ამ მხრივ არავის არ უსაყვედურნია რუსებისათვის, არავის უთქვამს სულმოკლენი ხართო. მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო მთავრობას არ უყვარს მეტის-მეტი სხვა ერთა გათამამება და ლაქუცი. ადგილი ფრიად დიდი აქვს ჩვენს სახელმწიფოს და ამიტომ მისი ჰაერი ყველას ერთნაირად ეყოფა, ყველას ერთნაირად შეიკედლებს ძლევა-მოსილი რუსეთის არწივი. ტყუილად არ არის არწივის შუაგულ თავადი გამოხატული, რომელიც შუბით ვეშაპსა სთრგუნავს, ტყუილად არ მოთავსებულან თავისუფლად გადაშლილს მისს ფრთებზედ ყველა იმ ერთა და ქვეყნების გერბები, რომელნიც „ძველის დროიდგანვე ერთს სახელმწიფოს შეადგენენ“...

(დასასრული ხვალ იქნება).

## უცხოეთი

—

**იტალია.** გაზეთებს მოჰყავთ ეპისტოლე პაპის ლეონ XIII-ისა, რომელიც მან კარდინალს რამპოლლას წარუგზავნა. „გაზ. იტალია“ ამ წერილს ყველა სხვა საბუთის ქაღალდებთან შედარებით ძალიან მოხერხებულადა სთვლის. მაგრამ აღსრულება იმისი, რასაც ლეონ XIII თხოულობსო,—ამბობს გაზეთი,—იტალიისათვის სიკვდილი იქმნებაო. ამისათვის ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი მოსალოდნელი და შესაძლებელია გარდა იმისა, რომ კვლავ აღდგენილ იქმნას პაპის საერო უფლებაო.“ „რიფორმა“ განსაკუთრებით წერილის იმ ნაწილს ეხება, რომელიც 8 სექტემბრის დღესასწაულობას პაპის შეურაცხყოფადა სთვლის. „ეს დღესასწაულობანიო, ამბობს ლეონ XIII, იტალიის რევოლიუციის აპოთეოზს შეადგენენ, მაგრამ კანონიერად ეს აპოთეოზი მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა, თუ რომ იგი შეუთანხმდებოდა თვით მთავრობის ღირსებასა და ზომიერებას დღესასწაულობის დროს“. „ტრიბუნა“ დიდ უზრდელობადა სთვლის ეჭვს, ვითომ ამ უკანასკნელ წლების უბედურებანი იმისი შედეგი იყოს, რომ პაპიმ საერო უფლებანი დაჰკარგაო. გაზეთი უფრო მეტს ყურადღებას აქცევს წერილის ბოლოს, რომლითაც პაპი ხალხს იწვევს „მასონთა ბატონობის დასათრგუნავად“. Corriere della Sera ამბობს, შეიძლება პაპის წერილმა გავლენა იქონიოსო, მაგრამ ისეთი-კი არა, როგორსაც მოელიანო. შესაძლებელია კლერიკალთა მხრივ რაიმე წინააღმდეგი მოქმედება გამოიწვიოს, მაგრამ ისიც ეჭვ გარეშეა, რომ მთავრობა მაშინ რეპრესიულ საშუალებას იხმარს. მოსალოდნელია დევნულ კათოლიკეთა პარტიის მწუხარე მდგომარეობამ საზოგადოების თანაგრძნობა დაიმსახუროს. ,,თუ რომ კლერიკალთ ამისი მოლოდინი აქვთო,“—ამბობს გაზეთი,—შეიძლება იმედი არ გაუცრუვდეთ: მაგრამ ყოველს შემთხვევაში უფრო ადვილი წარმოსადგენია ადამიანს ფრთები გამოესხას და დაფრინავდეს, ვიდრე ის, რომ პაპმა კვლავ დაიბრუნოს საერო უფლებანიო“.

—

**ოსმალეთი.** კონსტანტინოპოლიდან „ტაიმს“-ს ატყობინებენ დეპეშით: ოსმალნი ძლიერ უკმაყოფილონი არიან მთავრობისაო; მათი უკმაყოფილობა დღითი-დღე იზრდება და შესაძლებელია მალე იქამდის მივიდეს, რომ ოსმალელებმა სრულიად წაართვან ახლანდელს სამეფო გვარეულობას ტახტი, რათა გაანთავისუფლონ ოსმალეთი და საზოგადოდ ისლამი იმ სამარცხვინო დამოკიდებულებიდგან, რომელშიაც ახლა იმყოფებაო.

იმავე გაზეთს სწერენ, რომ ოსმალეთი ენერგიულად ემზადება ომისათვისაო: კოსტანტინოპოლის ჯარი 3000 კაცით იქმნა გაძლიერებული გამოწვეულია. კიდევ 10 ათასი კაცი; ამაგრებენ ციხეებს, აშენებენ ახლებს და სხვა.

—

გაზეთ „პრე“-ის სიტყვით ოსმალეთში აღორძინდა მოძრაობა იმ პარტიისა, რომელიც თხოულობს პოლიტიკურ რეფორმებს მთელის იმპერიისათვის. ეს პარტია თანაუგრძნობს მითხად-ფაშის რეფორმებს 1877 წლისას და მის მიერ შემოღებულს პარლამენტალურს წეს-წყობილებას.

## წვრილი ამბავი

—

„როდესაც ჯერ ბათუმი მკვიდრთა ხელში იყო და არ დაეპყრო რუსეთს, მაშინ აქ მრავლად იყო გაშენებული პატარ-პატარა ბაღები ფორთოხლისა. მაგრამ როდესაც იგი რუსეთის მფლობელობის ქვეშ გადავიდა, მკვიდრი ოსმალები აქედგან ოსმალეთში გადასახლდნენ და წასვლის დროს მთლად გააფუჭეს თავისი მოშენებული ფორთოხლის ბაღები, რათა გამარჯვებულთ არ ესარგებლათ მათის ნაოფლით. ახალშენებმა დაიწყეს აქ ფორთოხლის გაშენება, მაგრამ რადგანაც არ იცოდნენ ადგილობრივის ჰავის ვითარება და ადგილობრივი სამეურნეო პირობანი, მათმა ცდამ ტყუილ-უბრალოდ ჩაიარა. ეს მხარე ერთობ წააგავს ჩინეთის და იაპონიის იმ ადგილებს, სადაც მრავლად მოჰყავთ ფორთოხალი. ამიტომ კარგი იქნება მიაქციოს ამას ყურადღება სამიწათ-მოქმედო სამინისტრომ და იხმაროს საშუალება, რომ ეს საუცხოვო ხილი კვლავ მოშენდეს ბათუმის მიდამოებში“ („ნოვ. ვრემ.“).

## ინგლისელი ქალები.

ის მოძრაობა, რომელსაც ჰსურს გაათანასწოროს ქალთა და კაცთა უფლებანი, ინგლისში უფრო მძლავრია. ეს გასაკვირველიც არ არის, რადგანაც იქაურს ქალებს აქვთ ყველა ის თვისებანი, რომელთა მეოხებით მათ შეუძლიანთ მამაკაცს არ ჩამორჩნენ.

ინგლისელს ქალს ბავშვობაშივე აქვს შეგნებული ის კანონები, რომელნიც მას თავისუფლებას ანიჭებენ. თექვსმეტის წლისას უკვე ნება ეძლევა გათავისუფლდეს მშობლების ხელიდამ, თუ ჯეროვანს საბუთებს წარადგენს, რომ მშობლებთან ცხოვრება მისთვის მავნებელია. ამ შემთხვევაში სასამართლო ნებას აძლევს იცხოვროს მარტოდ, მხოლოდ წესიერად-კი. ოცის წლის ინგლისელი ქალი სრულებით თავისუფალია. ნება აქვს მშობლებთა დაუკითხავად მისთხოვდეს, ვისაც უნდა. გათხოვების შემდეგაც შეუძლიან აკეთოს, რაც თვითონა ჰსურს და შემოსავალიც თავისის სურვილისამებრ მოიხმაროს.

ინგლისური ქორწილი მეტად სადა და უბრალოა: ვიზიტი, ორი მოწმე და საქმე გათავებულია. მაგრამ ამ უბრალო ქორწინებაშიაც არის რამდენიმე იმისთანა წესი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქალებისათვის, მაგალითად, როდესაც საქმრო მიდის სასძლოს მამასთან და სთხოვს ქალიშვილს ცოლად. ეს თაყვანის მცემელი მიდის თავისს შეყვარებულის მამასთან და ეუბნება:

ერთს საათს შემდეგ მე თქვენს ქალზედ ჯვარს დავიწერ. იმას თქვენთვის აქნობამდის არა უთქვამს-რა, იმიტომ რომ თქვენ წინააღმდეგნი გახდებოდით ჩვენის ქორწინებისა. ყველაფერი მზად არის; თქვენი ქალი უკვე წავიდა დედა-ჩემთან ტანისამოსის ჩასაცმელად, მოწმები მატარებლით გარეთ იცდიან, ჩაიცვით და მობრძანდით ქორწილში.

მამაც იცვამს ტანისამოსს და მიდის ქორწილში. აი ერთი მაგალითი, რომელიც ამ მოკლე ხანში მოხდა: ჯვარს იწერდა ოც-და-ერთის წლის ქალი. როგორც ჯვარის წერის წესი მოითხოვდა, ღვდელმა ამგვარი კითხვა მისცა მამას:

— ვინ გადასცა ეს ქალი ამ ყმაწვილს?

პატარძალმა მამას არ დააცადა ეთქვა ჩვეულებრივი პასუხი და თითონ უპასუხა ღვდელს:

— არავინ, კაცს, რომელიც მე თითონ ამოვირჩიე, მევე მივყვები ჩემის ნებით. ეგ კითხვა ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ქალები უსულო ნივთად ითვლებოდნენ, როდესაც ქალები მონებაში იყვნენ და მშობლები, ვისაც სურდათ, მას მიათხოვებდნენ ხოლმე. ის დრო, ჩვენდა საბედნიეროდ, გავიდა. მე თუ თითონ არ მომესურვებინა ამ კაცის შერთვა, ვერა ღონისძიებით ვერ მიმცემდნენ მას. ამიტომ ვთხოვ მამაჩემს, არ მოგცეთ თქვენს კითხვაზედ პასუხი. მე თითონ გაძლევთ პასუხს, რომ მხოლოდ მე, ჩემის სურვილით, მივყვები ამ ყმაწვილს.

ღვდელმა ჯვარის წერა განაგრძო და ჰკითხა ქალს,— პატივსა-სცემს თუ არა ის თავისს ქმარს, ან იქნება თუ არა მისი მორჩილი.

— თუ პატივს არა ვცემდე ამ კაცს, არც ვიდგებოდი ეხლა აქ,—მიუგო ქალმა;—მე მას პატივს ვცემ იმ დრომდის, ვიდრე იგი პატივის-ცემის ღირსი იქნება; მეყვარება იმ დრომდის, ვიდრე ჩემის სიყვარულის ღირსი იქნება. მაგრამ, მე არა ვკისრულობ ვემორჩილებოდე მას. მე ავირჩიე ქმარი, კეთილი ამხანაგი და არა მბრძანებელი.

ყველა ეს ქალმა სთქვა წყნარის ხმით, მშვიდად. საქმროს არ გაუკვირდა საცოლეს სიტყვები; ის იღიმებოდა და თავს იქნევდა თანხმობის ნიშნად.

მეორე დღეს ამ შემთხვევის გამო დასტამბული იყო გაზეთებში წერილები. არც ერთს გაზეთს არ გაჰკვირვებია ეს ამბავი.

შესანიშნავია, რომ არც ერთს ქალს არ დაუსტამბია წერილი ამის შესახებ. საზოგადოდ დღეს ინგლისელ ქალთ დაიჭირეს ყველა ის ასპარეზები, რომელზედაც მამა-კაცები მოქმედებდნენ: სწავლობენ პოლიტიკას, პოლიტიკურ ეკონომიასა და სხვა... ტანთ აცვიათ სადა ტანისამოსი, მოგზაურობენ მარტონი შორეულს ქვეყნებში. საზოგადოდ ინგლისელს ქალებს ვაჟკაცური ენერგია აქვთ. მათი თავ-დაჭერილობა და ცოტაოდენი გულ-ციობა კაცს მათდამი პატივის-ცე-

მას აგრძნობინებს; მაგრამ ისინი მაინც არ არიან მოკლებულნი იმ გულმხურვალებას, რომელიც მხოლოდ ქალისთვის მიუნიჭებია ბუნებას. ამისთანა ქალი განათლებული კაცისთვის კარგი ამხანაგი და კარგი მეუღლე იქნება, ვიდრე ის ქალი, რომელიც მარად კეკლუცობს, ნაზობს და ჰგონია მხოლოდ ეს არის ქალის დანიშნულებაო.

## ბიბლიოგრაფია.

ტფილისში უკვე მოვიდა 20 სექტემბერს 1895 წელს ვენაში გერმანულს ენაზედ გამოცემული ახალი წიგნი ჰუგო შუხარდტისა, სახელწოდებით Uber den passiven charakter des Transitivs in den Kaukasischen sprachen. შინაარსი ამ წიგნისა, როგორც მისსავე ყდაზედ აღნიშნულია, ავტორს წაუკითხავს ვენის სამეცნიერო საიმპერატორო აკადემიის ფილოსოფიურ-ისტორიულ მეცნიერებათა სხდომაზედ. ავტორს განუხილავს კავკასიელთა ენები: ა) მოკლედ: აბხაზური, ჩერქეზული, ჩაჩნური, ავარული, ანდური, დიდოური, ყუმუხური, დარღოული, ქურინული, არჩული, რუთულური, წახურული, ახტური, აღულური, თავასარანული, ბუედუხური, ხინალუღური და უდური (გვ. 1—34) და ბ) ვრცლად ქართული და მისნი კილო-კავნი (გვ. 34—90). ამ წიგნიდგან სჩანს, რომ ქართველთათვის თავ-გადადებულ მეცნიერს არ დაუკლია თავისი ძალ-ღონე, რათა კავკასიელთა ენები და უმეტესადკი ენა ქართული გაეცნო ევროპიელთათვის. ავტორი განსაკუთრებით დიდს ცოდნას იჩენს ქართულის ენის განხილვაში და, ვფიქრობთ, უკვე შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს მეცნიერი სრულიად და სავსებით გამოარკვევს საგრამატიკო კანონებს ქართულის ენისას და მით დაიმსახურებს მადლობას ენათა მეცნიერებისას და ქართველთა ერისას.

მ. ჯანაშვილი.

## შემოწირულება.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ქალბ. ელ. ჩერქეზიშვილისას და ბ-ნ გ. ხუციშვილს, რომელთაც შემოსწირეს ხსენებულს საზოგადოებას პირველმა ერთი თუმანი, ხოლო მეორემ ეპოლეტები.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 ოქტომბერი.

**კონსტანტინოპოლი.** ოსმალურს გაზეთებში ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ სახელმწიფოს კანონების ძალით სახელმწიფო სამსახურში მიღებულ იქნებიან ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომნი განურჩევლად ეროვნობისა. შემდეგ მოხსენებულია, რომ მთავრობამ შეიმუშავა კანონი სულთანისაგან დამტკიცებული, რომელიც უნდა შეტანილ იქმნას მცირე აზიის ზოგიერთ პროვინციებში. ეს კანონი შეეხება სხვათა შორის მამასახლისთა საბჭოს უფლებათა გაძლიერებას, სასჯულო ინსპექტორთა დანიშვნას, საპყრობილეთა ზედამხედველობას, თანასწორად მიღებას ჟანდარმთა და პოლიციის სამსახურში ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომისა, იმის დაგვარად რამდენიც მცხოვრებია სხვა-და-სხვა ვილაიეტებში; დაწესებას საჭირო რიცხვისა მეველეთა; გაყოლას ჟანდარმებისა ქურთთა, როდესაც იგინი ბრუნდებიან საზამთრო ბინაზედ ასაშორებლად შეტაკებისა; დაბოლოებით დაბინავებას ქურთებისა; გამოცემას წესდებისა „ჰამიდიეს“ ცხენოსან ჯარისათვის; გარდა ამისა მხედართ მიენიჭება უფლება ატარონ ფორმის ტანისამოსი და იარაღი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯარში იქნებიან გაწვეულნი; ყოველს წელს გაიგზავნება პროვინციებში ინსპექტორები უკანონო მიწათ-მფლობელობის აღმოსაჩენად; ბეგარა შეიკრიბება საერო მამასახლისებისაგან ან ამორჩეულთაგან; აკრძალულ იქნება გაყიდვა მიწისა, სამეურნეო იარაღისა, საქონლისა და თესლისა სახელმწიფო და კერძო ვალის გარდასახდელად.

## „ივერიის“ ფოსტა.

**მღ. ნ. რამიშვილს.** ჩვენც მოგვივიდა ეგ ამბავი, მაგრამ არ დავბეჭდეთ, ხოლო ბრალის ასახდელად მიჰმართეთ იმავე გაზეთს, სადაც „მეთვალყურეს“ წერილი იყო დასტამბული.


# განცხადებანი

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ თარგმანი კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანისა.

## „კულტურა“

ანუ

კაცობრიობის გონებრივი და ზნეობრივი განათლება.

თხზულება იულ. ლიპპერტისა.

ეს თარგმანი გამოვა სამ წიგნად და ეღირება თითო მანეთად. თუ ამ თავითვე წიგნების შემძენნი ისურვებენ ხელის მოწერას და ამ თავითვე საფასურს გარდაიხდიან—იმათ დაეთმობათ სამივე წიგნი ორ მანეთად. ხელის მოწერა მიიღება: ქ. ტფილისში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში“. ქუთაისში—ვასილ ბეჟანიშვილთან; ბათუმში—გერონტი კალანდაძესთან; თელავში—ილია იმერლიშვილთან და გორში—არსენ კალანდაძესთან.

(8—უ—2)

ახლად გამოვიდა გასასყიდად

## რეინიკე კუდა-მელა

(ათის სურათით)

ნათარგმნი გ. იოსელიანის-მიერ.

გამოცემა ზაქარია გრიჭუროვის წიგნის მაღაზიისა.

ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.

ფასი წიგნისა 50 კაპ., ვინც ათს ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ნაღდად, წიგნი დაეთმობა 40 კაპ.

(5—ნ.—1)

მეფე დავით აღმაშენებელი

## და იმისი დრო

ისტორიული მონოგრაფია

ნ. ურბნელისა

ფასი ორი აბაზი

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . . | „ | 70 |
| მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე. . . . . . . | | 10 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა. . . . . | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე. . . . . . | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . . | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე . . . . | „ | 25 |
| ქართლი მისივე . . . | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . | „ | 40 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე. . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| Ш вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | » | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| ереписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова. . . . . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе . . . . . . | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . | 7 | 05 |

დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახ. ოი. ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—»)


## „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50,, | 5 „ . . . . | 5 „ 50,, |
| 10 „ . . . . | 8 „ 75,, | 4 „ . . . . | 4 „ 75,, |
| 9 „ . . . . | 8 „ —,, | 3 „ . . . . | 3 „ 50,, |
| 8 „ . . . . | 7 „ 25,, | 2 „ . . . . | 2 „ 75,, |
| 7 „ . . . . | 6 „ 50,, | 1 „ . . . . | 1 „ 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

**რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.**

Дозволен цензоурою, Тифлисъ 10-го Октября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.